საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ხუთშაბათი აპრილის 7 1921 წ.

№ 32 ფასი 50 მანეთი

# სოციალისტ-ფედერალისტი

რედაქციის მისამართი: ლამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

სახელმწიფო დრამის თეატრის დირექცია, რეჟისურა და მსახიობნი გულჩათუთქულნი აუწყებენ საქართველოს მოქალაქეთ სახალხო სახლის ქართული სექციის რეჟისორისა და მსახიობის

**კოტე შათირიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. ცხედარს გადმოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოდან (ანდრიევ. ქ.) ქვაშვეთის ეკლესიაში დღეს შუადღის 12 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 745

ღრმად დამწუხრებულნი დავითი და კონსტანტინე ფანცულაიები დედით და დით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას ნათლიის სახალხო თეატრის რეჟისორის

**კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე შათირიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში ცხედარს გადმოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოდან (ანდრიევის ქ.) ქვაშვეთის ეკლესიაში, დღეს შუადღის 12 საათზე. 746

შაბათს, აპრილის 9-ს 11 საათზე დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის გარდაცვალებისა, წირვა და პანაშვიდი

**გიორგი (გიგო) ალექსანდრეს ძის მგალობლიშვილის**

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებით აღჭურვილნი: მეუღლე თამარა ალექსანდრეს ასული, შვილები ნინო და მაიკო მგალობლიშვილები. 747

გაზეთ
„სოციალისტ-ფედერალისტი“-ს
კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიჰმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ექსპედიციაში გაიგზავნება მხოლოდ კედლებზე გასაკრავი ნომრები.

ცესის უკანასკნელი პუნქტი—ბათომი არ შეიქმნა საბედისწერო პუნქტად.

ჩვენ ერთხელაც არ გვქონდა წარმოდგენილი, რომ ევაკუაცია ბათომშიაც არ შეჩერდებოდა. თურმე ვცდებოდით! საქართველოს გინდენბურგებმა მსოფლიოს მასშტაბით გაშალეს პერსპექტივები და სამტრედიასთან ბრძოლის დროს გემების ტვირთვას შეუდგნენ ლოპიოთი, ფქვილით, კონსერვებით, ფეხსაცმელებით, უამრავი მანუფაქტურით, ოქრო-ვერცხლით და სხვა ძვირფასი ნივთებით.

ხაშურიდან დაწყებული ევაკუაციას ეპოპეია ბათომამდე ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეთა ფლანგვის ეპოპეიაა. ვინც აქცევდა ყურადღებას საქართველოს უკანასკნელ დროის ცხოვრებას, ვინც იცნობს თუნდაც საქ. ყოფილ მთავრობის სახელმწიფო კონტროლის მოხსენებას საზოგადოდ სიმდიდრის გატან-შემოტანის დროს ბოროტ-მოქმედების შესახებ—ის აპრიორულადაც ადვილად წარმოიდგენს იმ ვაკხანალიას, რომელსაც ქართველი ხალხის ზურგზე ადგილი ჰქონდა ბათომში მენშევიკური მთავრობის უკანასკნელს დღეებში.

ჩვენ არ შეგვიძლიან ღირსეულად გადავშალოთ ეს სამარცხვინო ფურცელი ჩვენი ისტორიის, ჩვენი დაკნინების, ჩვენი სულის და ზნეობის სილატაკისა, დეე ეს საქმე სხვა ვინმემ შეასრულოს.

ჩვენ კი აქ გვინდა საკითხს სულ სხვა მხრივ ძოვაროთ. უკვე ღვნიშნეთ, რომ ჩვენს წინაშე ხდება ფართო ხასიათის რევაკუაცია. ჩვენ ვხედავთ პირებს, ძალებს, მაგრამ არ ვხედავთ გატანილ სიმდიდრეთა რევაკუაციას. თუ საბჭოთა საქართველოს უბრუნდებიან საქართველოს ძვირძლი შვილები, საკითხი უნდა დაისვას—რად არ უნდა დაუბრუნდეს საქართველოს ძვირძლი ქონება? რა უფლება აქვს ჟორდანიას, ელიავას, რუსიას და მათ ამხანაგებს უამრავი სურსათი და საქონელი „შეინახონ“ უცხოეთში, არსებითად გაფლანგონ ის საქონელი და ამ უდიდეს გაჭირვების დროს არ მოახმარონ თვით ქართველ ხალხს. რა ფორმალური უფლება აქვ. ღვარდიას, როცა გვარდიის მთელი ძალა საბჭობლოში დარჩა—მისი საქონელი იყოს მცირე ჯგუფის ხელში? რა უფლება აქვს ელიავა-რუსიას ქალაქების ქონება ატრიალონ უცხოეთში, რომ საქართველოს ყოველ ქალაქს სურსათისი საქონელი თავის ხელში ქონდეს. რა უფლება აქვს თუნდაც ვინმეს, როცა საქართველო არ მომკვდარა და საქართველოს ოქრო ვერცხლი, ძვირფასი და და ისტორიული ქვები საშიშ მდგომარეობაში ჩააგდოს. აქედან ჩვენ ვკითხულობთ: რა უფლება აქვს ყოველ ქართველს გაჭირდეს ამ მეტად დიდ საჭირბოროტო საკითხზე და ხმა არ ამოიღოს ევაკუანტების ამ ავანტიურაზე და დაუყონებლივ არ მოითხოვონ წაღებულ ქონებათა სეკვესტრი, დაბრუნება, რევაკუაცია.

საბჭოთა საქართველო არც ისე გარიყული ხდება, როგორც ბევრს გონია. რასაკვირველია ჟორდანიას ბოლშევიკების ყოველი ნაბიჯი წარმოდგენილი აქვს, როგორც კატასტროფა ბოლშევიზმისა, მაგრამ ბოლშევიზმის საქართველოში შემოსვლით, რუსეთ-ევროპის ურთიერთობა ოდნავადაც არ შერყეულა. მენშევიკური მთავრობის დადუპვით არც ქემალი აცრუებულა, არც ბრიანს უტირია, ხოლო ლოიდ ჯორჯს წარბიც არ შეუხრია. რუსეთ-ევროპის ურთიერთობა ლოღიკურის გზით მიდის და ეს მსვლელობა საერთოდ რუსეთისათვის სასარგებლოა.

ეს მომენტი საყურადღებოა საქართველოსათვისაც. საქართველოს საბჭოთა მთავრობას უცხოეთის სახელმწიფონი სათანადო ანგარიშს უწევენ და ეხლანდელ საქართველოსთან ევროპა იჭერს საქმეს, როგორც სახელმწიფოსთან. აი აქა სჩანს ის ფაქტი, რომ მენშევიკური მთავრობის სიკვდილი არ ნიშნავს საქართველოს სიკვდილს, რომ ჩვენსა და ევროპას შორის კვლავ იმართება საერთაშორისო ურთიერთობა.

ჩვენ იმისი მოსურნე ვართ, რომ საქართველოს დიპლომატიის ნაბიჯები უფრო მკვეთრად ისახებოდეს და ისმოდეს, ვიდრე ეს სჩანს დღემდე, ჩვენ გვინდა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელნი, ფართო პოლიტიკა—ეკონომიურ საქმეს აკეთებდნენ ევროპის სახელმწიფოებში, მაგრამ ვიდრე ეს გაკეთდებოდეს, ჩვენ მეტად სასურველად მიგვაჩნია იმ ქონებათა სეკვესტრი გარეშე სახელმწიფოთა დახმარებით რომელიც ნამდვილად ქართველ ერს ეკუთვნის და რომელსაც ევაკუანტთა მცირე ჯგუფი ისე განაგებს, როგორც მოესურვება.

არავის არავითარი გარანტია არ აქვს თუ რა მოელის წაღებულ სიმდიდრეს, ვინც ბათომის ამბავი იცის, სადაც საქართველოს სიმდიდრე ხელიდან ხელში დნებოდა და ქრებოდა, ვინც იცის ევაკუაციას მეტად მახინჯი და საშინელი სახე, ის ჩვენთან ერთად გაიზიარებს იმ აზრს, რომ საუკეთესო გზა წაღებულ სიმდიდრეთა არის ჩვენი ეხლანდელი მთავრობისათვის სიმდიდრეთა სეკვესტრი და მისი რევაკუაცია საქართველოში.

ის, რაც საქართველოში მოხდა ევაკუაციის მხრივ უმაგალითოა ისტორიაში. მენშევიკები ხშირად იგონებდნენ ბელგიას საქართველოს მდგომარეობასთან შესადარებლად, მაგრამ მხოლოდ ფორმალური მომენტია საქმაო ამ ანალოგიის უაზრობის დასამტკიცებლად. ბელგია დაიპყრო გერმანიამ, ბელგიის მთავრობა მოვალე იყო წასულიყო და შეენახა ყველაფერი რისი წაღებაც შეეძლო, ამავე დროს გერმანიის მიერ დაპყრობილ ბელგიაში ბელგიის მთავრობის ხსენება გაქრა და სახელმწიფოებსაც არ ჰყავდათ თავისი რწმუნებულები, მაგრამ ამის ნიშანწყალიც არ არის საქართველოში. რუსეთის ძალების დახმარებით ბოლშევიკების გაბატონება საქართველოში ოდნავადაც არ ნიშნავდა და არ ნიშნავს საქართველოს მოსპობას, მისი სუვერენიტეტის უარყოფას. ასე რომ იყოს, რუსეთს დღეს თავისი წარმომადგენელიც არ ეყოლებოდა საქართველოს რევკომთან და არც სხვა სახელმწიფოები წარმოგზავნიდნენ საქართველოსთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, თავის რწმუნებულთ. აი ეს მეტად საყურადღებო ფაქტები სავსებით აქარწყლებენ ბელგიის ანალოგიას და ჩვენ გვეუბნება: რაც შეეძლო ბელგიას, ის არ შეეძლო საქართველოს.

ჩვენ არ ვიცით, როგორი მიიღო ანტანტამ საქართველოს ევაკუანტები. შეიძლება დღეს თვით მათაც სურდეთ შერიგება საქართველოს რევკომთან, როგორც ურიგდება მენშევიკური პარტია, ამ შემთხვევაში უფრო ბუნებრივად მოხდებოდა აღძრული საკითხის გადაჭრა, მაგრამ ამ მხრივ თუ სრული უიმედობაა, ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, რომ ვსთქვათ: საჭიროა სეკვესტრი სიმდიდრეთა რევაკუაციისათვის.

თედო ღლონტი.

## ფელეტონი

10.

### ხაქვავხტრი და რევაკუაცია

თებერვალში ჩვენს წინაშე ხდებოდა ფართო ხასიათის ევაკუაცია, დღეს კი —აპრილში ჩვენ მოწმე ვართ რევაკუაციის. ამ ორ მოვლენათა შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველ ხანაში ტფილისიდან გადიოდნენ ოქროთი, ვერცხლით, მატყლით და პურით, ეხლა კი ჩვენი ძალები ბრუნდებიან ტიტველნი, ბონებით და მშიერნი.

ჩვენთვის ამ ჟამად მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს სურსათის და სხვა სანოვაგის სიძვირე. მოსკოვში პური, ნახშირი და საცხოვრებელი ბინა და სხვა მობილიზაციის უმთავრეს მიზანს შეადგენს. ნურავის გონია, რომ ტფილისს ასეთი დღე არ დაუდგეს და პურის საკითხმა არ დაგვავიწყოს უმაღლესი პოლიტიკა.

ყოველი წუთი იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ შექმნილი იქმნას რაიმე რეალური დირებულება, ან ისეთი სუშაობა ვაწარმოოთ, რომელიც ხელს უწყობს და გვაახლოვებს ამ დირებულებას.

ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ რევაკუაციით მიღებული ცოცხალი ძალები, ჩავრიოთ ისინი ნაცნობ საქმეში და მივიღოთ მაქსიმუმი საწარმოვო მიზნებისა. ეს ჩვენი საშინაო საქმეა, მაგრამ ჩვენ გვინდა განსაკუთრებული ყურადღება იმ სიმდიდრეს მივაქციოთ, რომელიც მენშევიკური მთავრობის ევაკუაციას მოექცა.

ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რომ რამიშვილის მთავრობამ და ჯიჯიხაძის მხედრობამ ყველაზე ბრწყინვალედ ევაკუაციის საქმე შეასრულა. დაბა-ქალაქებიდან აიბარგა ქალაქის მამები მთელი თავის ხაპაკ-ხუბაკებით, ერობებს უმცირეს თემიდან უმაღლესამდე არ დავიწყებიათ „წმინდა“ მოვალეობა და მიჰქონდათ „გადასარჩენად“ სოფლის ავლა-დიდება. ქალაქს და ერობას ზედ წაემატა კოოპერატივები და ამგვარად შეიქმნა ნამდვილი კონცერტი ხალხის სიმდიდრის გატანის საქმეში.

რასაკვირველია, ყველა ხედავდა ჩვენი სიმდიდრის გენერალურ ევაკუაციას, მაგრამ განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ ქართველი ხალხის სიმდიდრეს ქართველობა სამუდამოდ ეთხოვებოდა? ტფილისის ევაკუანტები ფიქრობდნენ მცხეთიდან დაბრუნებას, კავთისხეველები გორიდან, ქარელები ხაშურიდან და ასე შემდეგ. საევაკუაციო პროცესიას ემატებოდა სულ ახალი და ახალი სოფელი, ქალაქი, კოოპერაცია ვიდრე ამ პრო-

## სხიველებს

მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის რევკომის ბინაზე ამ დღეებში კრება ჰქონდათ გამართული ეგრედ წოდებულ „სხიველებს“. იმ კრებას — როგორც სჩანს—ყველა ჯურის ხალხი დასწრებია. მაგრამ ეხლა ეს ჩვენ ოდნავადაც არ გვაინტერესებს.

გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებული არის კრების ანგარიში, საიდანაც სჩანს თუ რამდენი ლვარძლით მოუხსენებია მოქალაქე კირილე ნინიძეს ფედერალისტების მუშაობა.

ის ამხანაგები, რომელნიც დღეს ეწევიან მუშაობას გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“—ვაცხადებთ საჯარო პროტესტს ნინიძის სიტყვის გამო.

ნინიძე ხმარობს შემდეგს სამარცხვინო სიტყვებს: „ფედერალისტების ლაქიობა…“ და სხვა. ჩვენ არ ვიცით ვინ არის ლაქიობას მიჩვეული: ის, ვინც ეხლა საბჭოთა სისტემას მიკიბულ მოკიბულად ლებულობს ძალის წინაშე თუ ისინი, რომელნიც საბჭოთა სისტემას ილებდნენ მაშინ ცა, როცა კირილე ნინიძეებს „საბჭოთა“ სისტემის ხსენებაც გულგრილად არ შეეძლოთ.

მკითხველმა სთქვას: ვინ არის ნამდვილი ლაქია?

## სომხეთში

**საქართველოს რევკომის სალამი.**

საქართველოს რევკომი დეპეშას უგზავნის სომხეთის რევკომს: „საქართველოს რევკომი აღფრთოვანებული და გახარებული ულოცავს სომხეთის მშრომელ ხალხს კონტრ-რევოლიუციონურ და პოლიტიკურ ავანტიურისტებზე გამარჯვებას. რომლებიც ცდილობდნენ მრავალ ტანჯულ ქვეყნის მუშები და გლეხები ხელ ახლა ჩაეგდოთ მონობაში და იმპერიალისტების უღელქვეშ. ოქტომბრის რევოლიუციის მზემ ხელ ახლა გაანათა ერევანი და არავითარ ბურჟუაზიულ წყვდიადს არ შეუძლიან დააბნელოს იგი. უსურვებთ ამხანაგებს დანგრეულ ქვეყანაში აღმშენებლობას, რომელიც დანგრეულია დაწყევლებულ ქრილობებით. ძალას და ენერგიას ქალაქის და სოფლის მშრომელთა საკეთილდღეოთ. მოსპეთ მტერი მის უკანასკნელ ბუნაგში; ჩვენ თქვენთან ვართ ამხანაგებო ამ ბრძოლაში. ჩვენ გვიზიარებთ არამც თუ მარტო სიხარულს, არამედ გასაჭირსაც, რომელიც აუცილებელია თქვენს გზაზე. გაუმარჯოს აღორძინებულ საბჭოთა სომხეთს. გაუმარჯოს ყველა რესპუბლიკების მეზობელთა და კონტრ-რევოლიუციონერ ბრძოლის ლაზერულ სოლიდარობას.

**ამხ. ორჯონიკიძის დეპეშა.**

ერევანი, სომხეთის რევკომს. სულით და გულით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მრავალ ტანჯულ განთავისუფლებას. ნება მომეცით გამოვსთქვა იმედი, რომ ამხანაგ კომუნისტების გონივრული პოლიტიკა გაერთიანებს ყველა მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას ყველა წარსულის დავიწყების ნიადაგზე და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში. გაუმარჯოს მუშა გლეხთა საბჭოთა სომხეთს. ორჯონიკიძე.

## ლაზები

(გაგრძელება*)

ლაზთა შეგნებულს შვილებს ამ გარემოების და გადაგვარების შესახებ დაუწყვიათ აშკარათ და ხმა-მაღლა ლაზებში ლაპარაკი, მასთან დაგმობა ოსმალეთის ბარბაროსული ბოროტების

*) იხ. „სოც.-ფედ.“ № 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კაცომჭამლობის, რომ ჩვენ ჩვენის ცხოვრების სახით და მოქმედებით სულ დავკარგულვართო. ამ გარემოებას ეს ახალგაზრდობა თურმე საქვეყნოთ თავიანთ შემთხვევან, და სძრახავდნენ ყოფილის ეფენდის.

ან, ასეთ გონიერ მოწაფეთა შეგნებულმა სიტყვების წარმოთქმამ აიყოლია თურმე ლაზების შეგნებული ნაწილი და ამ შეგნებულთაც დაიწყეს თავიანთ ვინაობის შესახებ საუბარი და ძიება ამისა, სწორედ ამათ საუბრისაგან განცნებულმა აბდულ ალა აზაკოდლი. ეს რომ ნამდვილია და მართალია ამას ასაბუთებს—კიდევ შემდეგი გარემოება.

1893 წ. ტრაპეზონიდან ბათომში ჩამოვიდნენ ლაზები. რამდენიმე მოწაფენი, სამნი ამათაგანი, ფრანგული ენის კარგათ მცოდნენი ბათომიდან ქობულეთში წავიდნენ და აქ ერთს ქართველ მაჰმადიანთა წარჩინებულ პირს სთხოვდნენ ქართულს ენაზედ დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის ძიერ დაწერილს „საქართველოს გეოგრაფიას“ რომელი წიგნიც ბროსემ 1848 წ. პეტერბურგში ფრანგულის თარგმნით ცალკე წიგნათ გამოსცა.

საქმე ისე მოეწყო, რომ ეს წიგნები ქობულეთში მათ ვერავინ უშოვნა, ბერე პატივცემულმა ქართველი სამაჰმადიანო შეგნებულმა ქართველ მამულისშვილმა ცხობილმა, დამსახურებულმა პირმა, პატივცემულ გულს ალა კაიკაციშვილმა ამ ლაზებს უამბო ცნობები, თუ იგინი ამ წიგნებს სად იშოვნიდენ და მასთან მაშინვე მიასწავლა. ყოვლათ პატიოსანს და ცხობილს გრიგოლ დავითის ძე გურიელთან. ვისთანაც თქვენ მაგ წიგნებს უსათუოთ იშოვნითო.

ლაზთა შვილების სიხარულს თურმე დიდი ძალა მიეცა, იგინი გულო ალა კაიკაციშვილს მადლობით გასცილდენ და მაშინათვე წავიდნენ გრიგოლ გურიელის სამკვიდრებლათ, ესენი ჯერეთ ოზურგეთში ჩასულიყვნენ და მერე აქედამ ბათუმში ჩამოვიდნენ, რადგანაც გრიგოლ გურიელი იმ დროს ბათუმში ყოფილიყო საცხოვრებლათ.

ამავე აქ მოვიყვან უპატიოსნესის გრიგოლ გურიელისაგან ნაამბობით ამბავს ამ ლაზელ ახალგაზდა საბუთიანთ და ჯარა ეკიმების შესახებ და იმედით, რომ ამ გარემოებას აწინდელი ლაზთა შვილები და მომავალი შეგნებული რიცხვიც ლაზთა შვილების ამ გარემოცემას წმინდა შეხედვენ სულითა გულით მიიღებენ და დაადგებიან იმ გზასა და კვალს, რასაც მათი წინაპრები ადგნენ და რასაც იგინი თურმე ხმამაღლა ლაპარაკობდენ ყველგან.

ლაზელი ახალგაზრდა ბეითლები და ჯარა ეკიმები გრიგოლ გურიელს თურმე დიდის მოწიწებით და თავაზით შეხვდნენ, პირველ ნახვისათანავე ლაზებმა გრიგოლ გურიელს ფრანგულად მისცეს სალამი, მერე ჰკითხეს, რომ თუ გნებავთ თურქულათ ვილაპარაკებთო. მე მიუგე, სთქვა გრიგოლ გურიელმა:

— ორივე ენაზედ ვისაუბროთ, მე ფრანგული კარგათ არ ვიცი, მაგრამ თქვენთან ლაზებთან ძრიელ მიხარიან, რომ ამ ენაზედ მექნება თქვენთან საუბარი, ფრანგულის ცნით საუბარი თქვენთან იმას ნიშნავს, რომ თქვენ ლაზების ხსოვნა ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ და თქვენის დამლუპველის ოსმალეთის ენის ნაგიერ ფრანგულად, ევროპიულად ლაპარაკობთ, ამით მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც ლაზები და ქართველის ტომის და ენის ძონათესავენი, დღეის შემდეგ დაწინაურდებით ლაზურ ქართულ ნაციის შეგნებით და თქვენ თქვენის სამშობლო ლაზისტან-საქართველოს ისტორიასაც შეისწავლით.

სთქვა პატივცემულმა გრიგოლ გურიელმა: მე რომ ამ უკანასკნელ სიტყვებს ვეუბნებოდი, ერთ ლაზს თვალებში ცრემლები მოერია და ამიტომ მეც სიტყვა აღარ გავაგრძე. ორმა მათგანმა დიდი მადლობა გადამიხადეს და მერე მითხრეს.

— დიახ, ჟენერალო, ჩვენც მიტომ მოვედით თქვენთან, რომ ეგები თქვენ დაგვეხმაროთ და ისეთი წიგნები გვიშოვნოთ, რითაც ჩვენ ჩვენის ქვეყნის ისტორიას შევისწავლით. მხოლოდ ჩვენი ერთი უბედურებაა ის გახლავთ, რომ ჩვენ ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა არ ვიცით, რადგანაც ოსმალოს მხარეში ლაზებს და მთლად ქართველებს სკოლებში ქართული ენას არ ასწავლიან. არ სწავლებას გარდა, იგინი ჩვენ მოტყუილებით გვარწმუნებდენ, რომ თქვენ თურქის ტომისანი ხართო და თქვენი ენა და წიგნიც თურქული გეგონათ. რადგანაც ლაზური ანბანი არ არსებობსო.

ჩვენ წავიკითხეთ ბროსესაგან დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ფრანგულ ენაზედ და იქიდამ გვეგონა, რომ ჩვენ ლაზები თურქები კი არა, ქართველების ტომისანი ვართ და ჩვენი მამულიც ლაზისტანიც საქართველო ყოფილა და არა თურქეთი. ამიტომ მოგმართავთ ჟენერალო და გთხოვთ, ეგენი სიკეთე გვიყოს და ფრანგულს ენაზედ დაბეჭდილი წიგნები გვიშოვოთ, ამით თქვენ დაუფასებელს სიკეთეს გვიზამთ.

გრიგოლ გურიელს ესეთი საუბარი დიდათ გულსდა და ლაზებს დაჰპირდა ზოგი რამ წიგნის შოვნა და მოძიება, იმავ დროს, თურმე გადასცა ბროსეს მიერ ფრანგულ ქართულის ენაზედ დაბეჭდილი ვახუშტის საქართველოს გეოგრაფია და ფრანცუზულცის დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“ ზოგიც სხვა წიგნები ფრანგულათ დაბეჭდილი საქართველოს შესახებ.

ლაზებს ამ წიგნების მოძებნა დიდათ გაეხარდათ და გრიგოლ გურიელს დიდი მადლობა უთხრეს და საფასურიც შეაძლიეს ბოდიშის მოხდით, მაგრამ გრიგოლ გურიელს საფასური არ მიუღია, ამ დროს, თურმე ლაზებმა გადაშალეს ვახუშტის გეოგრაფია და ფრანგულის თარგმნის დაბეჭდილის გვერდით ქართულის კითხვაც დაიწყეს, მერე თურმე გრიგოლ გურიელის უამბეს ასეთი ცნობა.

ქართული კითხვა ჩვენის ცდით ვისწავლეთ, ვკითხულობთ, გაგებით კი არა გვესმის რა, რადგანაც ლაპარაკის პრაქტიკა არა გვაქვსო, ეხლა აქ ბათუმში ქართულს ლაპარაკს ყური მოვკარით და სახტათ დავრჩით, სიტყვების გაგონებამ და მათ დაკვირვებამ ბევრს ქართულს სიტყვებს სწორედ მიგვახვედრა. ქართული ენა ლაზურ ენასთან ისე ყოფილა დაკავშირებული, რომ ლაზი ორი კვირის განმავლობაში ისწავლის და ილაპარაკებს ქართულს ენაზედ, რაც ცხადი ნიშანია მის, რომ ეს ხალხი და ქართული ლაზური ენაც არის ერთი და იგივე. გრიგოლ გურიელმა ასეთის გონიერულის შეგნებისთვის ლაზებს დიდი მადლობა უთხრა. ლაზებმა მერე გრიგოლ გურიელს უამბეს ლაზისტანის საზღვრების შესახები ცნობები ოსმალთაგან ლაზური ენის დევნის ამბავი, ლაზების გადასახლება ლაზისტანიდან და ოსმალეთში დაფანტულია 400 ათასზედ მეტი ლაზიო.

მთელი ლაზისტანის მცხოვრებთ ლაზთა რიცხვი 1810 წ. 600 ათასზე მეტი ყოფილა, ეს ცნობა, ამ ლაზებს ოსმალეთის მთავრობის ერთის სტატისტიკურის ცნობიდამ სცოდნიათ, რადგანაც იქ მოხსენებული ყოფილა, რომ ლაზისტანში, ოსმალოს მთავრობის მოხარკე ლაზთა რიცხვი 600 ათასი მოხარკე ათასი.

ამ დროის შემდეგ, ანუ 1830—1840 და 1850 წლების ოსმალეთის კალენდრების ცნობები იძლევიან, რომ ლაზისტანში ლაზთა მცხოვრებთა რიცხვი 200 ათასი სულისაგან შესდგებაო. მაშასადამე თვით ოსმალურის მთავრობის ცნობებით 1810 წ. შემდეგ ოსმალოს მთავრობის ლაზების რიცხვის ოსმალეთის იმპერიაში დაფანტულია 400 ათასზედ მეტი სული.

ლაზებს უთქვამთ: მიზეზი ლაზების აყრის და დაფანტვის ის ყოფილა, რომ პირველი ლაზები ოსმალებზედ გაცილებით უფრო ლამაზი ხალხიაო. მეორე მიზეზი ის ყოფილა, რომ ლაზები უფრო კულტუროსანი ხალხი არის, ხელოსნობის კარგი მუშები და ვაჭრობისაც კარგად მიმყოლნი და მესამე კიდევ ის ბარბაროსობა ყოფილა, რომ ასეთის დაფანტვით ლაზები თავის ენას, სახეს და ვინაობის ცნობას დაჰკარგვენ და ოსმალთ შეუერთდებიან და გაოსმალდებიანო.

პატიოსანმა გრიგოლ გურიელმა სთქვა, როცა ეს სიტყვა ერთმა ლაზმა, დაამთავრა იმ დროს, მეორე ლაზს ცრემლები მოუვიდა თვალებშიო, და მე დამიწყეს პირში ყურება თუ მათ მე რა იმედს მივსცემდიო.

მერე უამბნიათ კიდევ, რომ ოსმალეთის მთავრობის ლაზების წინაშე სხვაც ბევრი ბოროტება მიუძღვის და უმთავრესად კი ის გარემოება, რომ ვინც ლაზისტანში ლაზები დაშთნენ და მათში ლაზური ენა ვერ დაამხეს და ვერ მოსპესო. მას მიერ, ამ ლაზებს, ლაზური გვარების ტარება აუკრძალეს და ყველას ლაზური გვარის მაგიერ ოსმალურად უწოდესო. ამით მათ ბევრი რამ ისტორიული გვარები მოსპეს ლაზისტანში ლაზთა შორისო.

დღეს ლაზი შურლაია—იწოდება ზუროღლითო, შანია—შაინოღლათ, ჯანია—ჯანოღლათ და სხვაც ბევრი ასეთნი, ოსმალთა ბარბაროსებმა არც ეს აკმარეს ლაზებს და მათ დაუწყეს სახელების გამოცვლა მთელს ლაზისტანში სხვა და სხვა სოფლებს, მთებს, მინდვრებს დაბებს და ქალაქებსაც, მაგრამ ვერც ამით შესძლეს მათ და ლაზებში ვერ ამოაგდეს ლაზური ხსოვნა და დღესაც ლაზები თვით ლაზისტანიდამ გასულნი და დაპნეულნიც ლაზურად ლაპარაკობენო. ისინიც, რომელთაც დაკარგეს ლაზური ენა და დღეს ოსმალურად ლაპარაკობენ ისინიც ამბობენ, რომ ჩვენ ლაზები ვართ, ანუ ქართველებიო.

ჟ. ჭ.

## კოტე შათირიშვილის ხსოვნას

კიდევ ერთი მადლიანი და ჩუმი მოღვაწე ჩაესვენა საფლავში.

გარდაიცვალა ქეთილშობილი მამულიშვილი და ნიჭიერი რეჟისორ-მსახიობი კოტე შათირიშვილი, რომელიც რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში პირნათლად და შეუდრეკელის ენერგიით ემსახურებოდა დიად კულტურულ საქმეს—სასცენო ხელოვნებას.

განსვენებული [illegible] ძველი ქართ[illegible] ნის სცენის [illegible] და თვალსაჩ[illegible] ეჭირა.

დიდს [illegible] დროს კოტე შათირიშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ სახალხო წარმოდგენებში, რომელიც იმართებოდა ეგრედწოდებულ ავჭალის აუდიტორიაში განსვენებულ მარიამ დემურიას ხელმძღვანელობისა და სცენის მოყვარეთა მონაწილეობით.

განსვენებული ერთი უსაყვარლესი პიროვნება და მსახიობი იყო ქართულ წარმოდგენების დამსწრე საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით იმ ღარიბ და ფხიზელ დემოკრატიისთვის, რომელიც კოტეს თავიდანვე თაყვანისცემით უყვარდა.

კოტეს სამსახური სახალხო სცენაზე როდი იყო შემთხვევით. ეს სამსახური იყო შედეგი მისი ღრმა მოქალაქობრივ შეგნებისა და ასეთისავე შეგნებულ სიყვარულისა დემოკრატიისადმი.

მოლოს აგი კიდეც სრულიად გასწყვიტა განსვენებულმა კავშირი დიდს ქართულ სცენასთან და სამუდამოდ გადასახლდა ზუბალაშვილის სახალხო სახლში, სადაც მისი ხელმძღვანელობით, რეჟისორობით და სცენაზე მონაწილეობით საძირკველი ჩაეყარა მუდმივს ქართულს სახალხო წარმოდგენებს.

ასეთი ჩუმის, მაგრამ ფრიად ნაყოფიერ მოღვაწის გარდაცვალება უეჭველია დიდს გულისტკივილს გამოიწვევს ქართველ საზოგადოებაში, განსაკუთრებით იმ მდაბიო ხალხში, რომლის გათვითცნობიერებასაც განსვენებულმა თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები შესწირა.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

## ახალი ამბები

— იოსებ იმედაშვილის შვილი გაიოზი, 13—14 წ., მარტის მიწურულს ბათომისკენ წავიდა მამის საძებნელათ. მშობლები სთხოვენ ყველას, თუ ვისმეს შეხვდეს ეს ბავში, უკან დააბრუნონ, რადგან მამა მისი უკვე თბილისშია. გაიოზთან ახლავს ამხანაგი ფურცელაძე, სიმე ჰაჭაკისა.

— შამათობა. აპრილის 4. კომისარიატის შენობაში, ყოფილი ქალაქის გამგეობა. შესდგა კრება მომავალ შაბათობის მოწყობის საკითხის გასარჩევათ და უმთავრესათ იმის გამოსარკვევათ თუ რომელი საჩქარო სამუშავოები უნდა იყოს შესრულებული ახლობელ შაბათობაზე. შაბათობის შექმნა მჭიდროთ არის დაკავშირებული საბჭოთა

## რა უნდათ სომხებს?

1.

თვითმპყრობელობის ხანა, მუსავატ-დაშნაკცუთიუნის დრო, კომუნისტების მეუფობა... ჩვენს წინაშე იშლება მართველობის სხვა და სხვა სისტემა, სხვა და სხვა წესი, მაგრამ ნათელი ხაზი, რომელიც ყველასათვის სათვალჩინოა ყოველ მხრივ ერების შემოქმედებაში განსაკუთრებით ეროვნული ინტერესებისათვის სასტიკი ბრძოლა. როგორც სჩანს ეროვნული პრობლემა ფარავს პარტიულს და კლასობრივს, ათასგვარ სახეს იღებს პოლიტიკური ფორმები ცხოვრების, მაგრამ უცვლელი რჩება ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა.

ვერც თვითმპყრობელობამ, ვერც მენშევიკებმა ვერ გადაჭრა ჩვენში ეროვნული საკითხი. გადაჭრის თუ არა ამ დიდ საკითხს კომუნისტური ძალა? ამის პასუხს ჩვენ მომავალი გვიჩვენებს. ჩვენი მოვალეობაა ერთხელაც არის გავიგოთ სომხის ხალხის კლასობრივი და ეროვნული ინტერესები, ანგარიში გაუწიოთ მას და გადავჭრათ სომხური საკითხი არა ქართული ან სომხური ვოლუნტარიზმის თვალსაზრისით, არამედ ობიექტურ ცხოვრების გარდუვალ მოთხოვნილებების თანახმად.

დავიწყოთ მახლობელ წარსულის მოგონებით.

საშუალო საუკუნოებიდან ამიერ-კავკასიაში სომხის ერი ყოველგვარ საშუალებას მოკლებული იყო, რომ მას რომელიმე ადგილობრივ და მეზობელ ერის წინააღმდეგ ეწარმოებია აქტიური იმპერიალისტური პოლიტიკა. მეთექვსმეტე საუკუნემდე (1583 წლამდე) არარატის რესპუბლიკა ქალაქ ერევნით სპარსელების ხელში იყო, ამ დროიდან მეთვრამეტე საუკუნემდე აქ იყო გაბატონებული ოსმალეთი, ხოლო ერეკლე მეორეს დროს ერევნელი ხანი საქართველოს ჰეგემონიას ექვემდებარებოდა. ამ დროს ეხლანდელი შარურო-დალაგეზის მაზრა, სურმალინის მაზრა და მაზრები ახალ ბაიაზეთის, და ალექსანდროპოლის, რომელიც დღეს არარატის რესპუბლიკის სომხობის აკვნად ითვლება—წარმოადგენდა მაჰმადიანების სამკვიდრობელს. (აქედან ვხედავთ, რომ ამ ადგილებში სომხობა მეტად სუსტს ძალას წარმოადგენდა და არც პოლიტიკურსახელმწიფოებრივი და არც ფიზიკურ-ეკონომიური საშუალება არ ქონდა რომელიმე მეზობელ ერთან ბრძოლა ეწარმოებინა.

ამ ობიექტიურ პირობების გამო აიხსნება ის საერთო აზრი, რომ სომხებს საქართველოსთან და ქართველობასთან ომი არასოდეს არ ქონია. და მართლაც, ადნუსხულ საშუალო საუკუნოებიდან სომხობასთან საქართველო ომს არ აწარმოებდა, საქართველოს წინაშე როგორც აღმოსავლეთით, ისე სამხრეთით და დასავლეთით აღმართული იყო ძალა მაჰმადიანობისა. აიღეთ აღმოსავლეთით საქართველო, თვით შავი ზღვის ნაპირები გაითვალისწინეთ და თქვენ დაინახავთ, საქართველოში თითქმის ერთი ადგილიც არ არსებობს, სადაც მაჰმადიანობას თავისი ძალის გავლენა არ დაეჩინოს. დიდხანს ბატონობდნენ თათრები საქართველოში, ხშირად ხარკებს იხდიდა ქართველი ერი თათრების სასარგებლოდ, მაგრამ ამ მძიმე ხანაში ადგილობრივად ქართველობას არ ყავდა არც ერთი ისეთი მეზობელი ერი, რომელსაც მეგობრულად ხელს მისცემდა ქართველი ერი. მაშინაც, როცა ერეკლე მეფე, ან კიდევ ადრე ვახტანგ მე 6, სასიცოცხლოდ დაინტერესებულნი იყვნენ მეგობრებში, ქართველმა მეფეებმა მხედველობა მიაპყრეს რუსეთს, ვინაიდან ადგილობრივ არც ერთი ერი არ იყო ისეთი, რომელიც თათრობის წინააღმდეგ დაირაზმებოდა ქართველობასთან და ეს დარაზმა სერიოზულ ხასიათს მიიღებდა.

რამდენადაც ქართველი ერი მეცხრამეტე საუკუნემდე მტრულად იყო განწყობილი მაჰმადიანობასთან, იმდენადვე საქართველოს მთავრობა სიყვარულით ეპყრობოდა ყველა იმ ერს, რომელიც ამიერ-კავკასიაში ძალას მოიკრებდა და თავისი ძალით ქართველ ერს გაუწევდა სამსახურს. დავით აღმაშენებლის შემდეგ ქართველ მეფეებს საერთოდ ახასიათებს სიყვარული და მფარველობა პატარა ერების. გაძლიერება ჩვენში სომხების, ოსების, თავისუფლება ისრაელების არის თვით ქართველი ძველი მთავრობის საქმე. როცა რუსეთის ძალა გამოჩნდა ამიერ-კავკასიაში ისიც დაინტერესებული იყო თათრობის ძალის შესასუსტებლად გაედიდებია და გაემრავლებია არა მაჰმადიანური ელემენტები. ამიტომ საქართველოს მთავრობასთან ერთად რუსეთის მთავრობა ყოველ მხრივ ხელს უწყობდა როგორც არარატის ოლქში, ისე ადერბეიჯანსა და საქართველოში ქრისტიანულ ელემენტის გაძლიერებას.

დაუძლურება სპარსელების და ოსმალების იწვევდა გაძლიერებას სომხების და რუსების ძალების. პირველად განსაკუთრებული ყურადღება ამ მხარეს მიაქცია გენერალმა პატიომკინმა, რომელსაც პავლე პირველი 1799 წელს სწერდა, რომ საქართველოში სომხების დასახლებას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეო 1). პატიომკინთან ერთად ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღო სომხის არქიეპისკოპოსმა იოსებმა, რომელმაც 1796 წელში ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში საერთოდ სპარსელ სომხების გადმოსახლებას. თვით პატიომკინის ხელშივე ოსმალეთის და ყირიმის სომხებისაგან დაარსდა დონის როსტოვში სომხური ქალაქი ნახიჩევანი. პატიომკინის შემდეგ ყოველი მართველი და გენერალი ამიერ-კავკასიაში ცდილობდა სომხების დასახლებას. გამარჯვება რუსის იარაღის იყო ამავე დროს ჩამოსახლება სომხებისა ჩვენს მხარეს, ყოველ ომს მეცხრამეტე საუკუნეში მოსდევდა სპარსეთ-ოსმალეთიდან ჩვენში სომხების გადმოსახლება.

1804 წელში, როცა საქართველოს ხელისუფალი პავლე ციციშვილი განჯის პატრონს ჯავად ხანს ებრძოდა ეს უკანასკნელი სომხობას ერთგულობას უცხადებდა, ამის გამო 25 ათას სომხამდე აიძულა სპარსეთში გადასახლებას, მაგრამ პავლე ციციშვილმა ეს სომხები თავის სამფლობელოსკენ მოიპატიჟა, ორი ათასი სომხის ოჯახი დაასახლა ლორეში, რომელსაც დღეს სომხები ისტორიულ ტერიტორიად ალიარებენ, ხოლო ორი ათასი ოჯახი ჩამოვიდა ტფილისში და დასახლდა ავლაბარში 2). რასაკვირველია ამითაც არ დამთავრებულა პ. ციციშვილის მოღვაწეობა სომხების გამრავლების მხრივ ჩვენში. სომხის არქიეპისკოპოსის იოანესის მხურვალე მონაწილეობით დაასახლეს ციციშვილის საბრძანებელში თერთმეტ ნახევარი ათასი ოჯახი სომეხი (60 ათასი), რისთვისაც იოანესი დიდად დაასაჩუქრეს და დანიშნეს ის საქართველოს სომხების სამღვდელოების უფროს პირად. 3) განსაკუთრებით ბლომად შემოიყვანეს ჩვენში სომხები 1828—1829 წელს, როდესაც აღმოსავლეთის ბატონებზე დიდი გამარჯვება იწვნია რუსეთის ხმალმა. 1736 წელში ნადირ შაჰის მიერ მოსპობილი სომეხთა სოფელი კაგარი ხელ ახლა აღაშენეს სწორედ 1829 წელს ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა სომხებმა და ას სოფელზე გააშენეს ახალი ბაიაზეთი, მსგავსად იმ ოსმალურ ქალაქ ბაიაზეთისა, საიდანაც სომხები იქმნენ გადმოსახლებულნი. ქალაქი ალექსანდროპოლი, რომელიც დღეს ერევნის შემდეგ სომხების საამაყო ქალაქს წარმოადგენს დასახლებულია ოსმალეთიდან წამოსული სომხებით მხოლოდ 1829 წელში. სულ 1830 წლისათვის გადმოსახლებული იქმნა 150 ათასი სომეხი, ხოლო 1877 წლის შემდეგ კიდევ 250 ათასი. მეოთხმოცდაათე წლების შემდეგ, როდესაც ოსმალები ხოცვა-ჟლეტით უმასპინძლდებოდნენ სომხებს დიდძალი სომხობა შემოვიდა ამიერ-კავკასიაში, რომლის საერთო რიცხვი აღწევდა 500 ათასზე მეტ კაცს, რომელთათვის რუსეთის მთავრობამ დიდძალი ფული დახარჯა.

დასასრულ ავიღოთ 1829 წლის კამერალური აღწერა ერევნის გუბერნიისა როგორც ეს არის შოპენის თხზულებაში გადმოცემული და ჩვენ ნათლად წარმოგვიდგება სურათი, რომელიც გვიმტკიცებს სომხების თანდათან დაგროვებას ამიერ-კავკასიაში. აღწერა, რომელიც მოხდა 1829—1832 წლებში გადმოგვცემს, რომ ქალაქ ერევანში

1) „Акты собр. археогр. ком.“, ტ. 1 გვ. 94.

2) Утвержденіе русского владычества на Кавказе“ ტ. 1 გვ. 136.

3) „Утвержденіе...“ გვ. 155.

ხელისუფლების საერთო პოლიტიკასთან, რომ-ლიც შექმნა სამოქალაქო ომმა და ეკონომიურმა ნგრევამ. საუკეთესო დახელოვნებული მუშები ლაშქარში იყვნენ გაწვეული. აუცილებელი იყო გამოვსულიყავით კრიტიკულ მდგომარეობიდან. და მოსკოვის კვანძის რკინის გზის მუშებმა გამონახეს ეს გამოსავალი შაბათობის მოწყობით. როგორც სახე თავისუფალ შრომის მეგაირისა. მოსკოვის კვანძის პირველი ცდას ბრწყინვალე შედეგი მოყვა. 4 საათის განმავლობაში შესრულდა ისეთი სამუშევარი, რომელსაც უნდებოდა 4 დღე. შემდეგმა შაბათეებმა დაგვანახა, რომ შაბათობას ნამუშევარი 6 ჯერ მეტია ნორმალურთან შედარებით. იმისი გამო, რომ ეს მუშაობა სრულდება სრულიად ძალ-დაუტანებლივ ამსრულებლის სრული ნებით და მისი ნაყოფიერების შეგნებით თუ სხვა რამ მიზეზით შაბათობამ დიდ ძალი ხალხი მიიზიდა, როგორც პარტიული აგრეთვე უპარტიო მუშებიც. ძალიან საინტერესო იყო ცდა კავკავში მოწყობილ შაბათობის. სამოქალაქო ომმა სასტიკად დაანგრია წყალსადენი და ელექტრონის სადგური. ამის გამო ქალაქის მდგომარეობა კატასტროფიული შეიქმნა. აი დაეხმარა შაბათობა; ერთ თვეში გაასწორა ყველ აფერი რაც კი იყო დაზიანებული. საქართველოში ჩვენ გზაზე გვხვდება დაბრკოლება. საზოგადოთ და კომუნისტურ მუშაობის იდეია აქ მხოლოდ ეხლა იწყებს გავრცელებას მასსის საზოგადოებრივ შეგნებაში. ეს დაგვანახა საანგარიშო სხდომის მცირე რიცხოვნობამ და ბევრ მსხვილ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების არ ყოლამ.

— **რკინის გზის მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გამოკვლევა.** აპრილის ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა რკინის გზელთა მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელი კომისია. კომისიის მიზანს შეადგენს რკინის გზის მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის გამოკვლევა, კვების და საერთოდ მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

— **რკინის გზის სასურსათო კომიტეტში.** ტფილისიდან სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ევაკუაციის დროს ყველაზე უფრო ძლიერ დაზარალდა რკ. გზ. სასურსათო კომიტეტი, რადგან გატანილ იქმნა ტფილისის და ბაზის საწყობებიდან მთელი ქონება და მარაგი. ამ ჟამად ახალი სასურსათო კომიტეტის ენერგიული ზომების წყალობით შესაძლებელი გახდა ექვსი სასადილოს გახსნა, ზომები მიღებულია ასეთი სასადილოები გაიხსნას რკ. გზ. მთელ ხაზზე. ყველგან ადგენენ და ხსნიან პურის საცხობებს, აწყობენ სურსათის შესყიდვას და სხვ. სურსათის მხრივ განზრახულია შეართონ ერთ განყოფილებაში საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის გზები, დაწყებული პეტროვსკიდან ვიდრე შავ ზღვამდე. საქართველოს და სომხეთის რკინის გზების გამოკვლევის შემდეგ აპრილის 15—20 შუა ტფილისში მოხდება აღნიშნულ გზების კვანძის რაიონების წარმომადგენელთა კონფერენცია.

— **სამოსწავლო საქმე.** 3 აპრილს სახალხო განათლების კომის. კოლეგიამ სამოსწავლო ცხოვრების მოწყობის შესახებ მიიღო შემდეგი დებულებანი: სამაზრო სკოლები ექვემდებარება მაზრის რევკომს, ქალაქისა კი ქალაქის რევკომს, საშუალო სასწავლებლები კომისარიატს, ამ ჟამათ მუშავდება საკითხი სკოლის გარეშე განათლების მიღების შესახებ.

— **მინდვრების დათესვა.** საქართველოს ს. ს. რ. მინდვრის დამთეს ცენტრალურ კომისიამ მიიღო დეპეშები გორის, დუშეთის, ტფილისის და თელავის მაზრის რწმუნებულებისაგან, რომ ამ მაზრებში მინდვრის დათესვა მოეწყო, ვისაც თესლი არ აქვს მათთვის შეძენილია სათესლე.

— **სურსათის თავისუფალი გადატანა.** სურსათის დაკავების შემთხვევების გამო გზის უფროსმა რკინის გზის მთელ ხაზზე გასცა შემდეგი ბრძანება: მიუხედავათ საქართველოს რევკომის მიერ გამოცემულ დეკრეტისა, რომლის ძალითაც მოქალაქეებს ნება ეძლეოდათ სურსათის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლივ გადატან-გადმოტანისა, უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია არა ერთი შემთხვევა მილიციის თანამშრომლების და ჯარის ნაწილების მიერ სურსათის დაკავებისა. ვრაცხ რა მსგავს მოვლენებს სრულიად დაუშვებლს და უკანონო წინადადებას ვაძლევ, მოქალაქეებს რომელთაც სურსათი გადააქვთ, არ მიაყენონ არავითარი დაბრკოლება, მოაგონებ, რომ დამნაშავენი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი. მილიციის აგენტებს წინადადება ეძლევათ მათ პირადი პასუხის მგებლობით სასტიკათ თვალ-ყური ადევნონ აღნიშნულ განკარგულების სისრულეში მოყვანას.

უფროსი და სახალხო კომისარი კაციტაძე.

— **ლექცია.** ოთხშაბათს აპრილს 6-ს, სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში საღამოს 7 საათზე იოსელიანი წაიკითხავს ლექციას მსოფლიო ისტორიიდან. ხუთშაბათს 7-აპრილს საღამოს 7 საათზე ამხ. ლ. კრამერი წაიკითხავს დასავლეთ ევროპის ლიტერატურიდან.

— **შრომის სახალხო კომისარიატისაგან.** შრომის სახალხო კომისარიატი იუწყება რომ ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული შენიშვნა ცეკავშირის გამგეობის წევრების უფლებათა აღდგენის სახელწოდებით სინამდვილეს არ შეეფერება.

— **სურსათის სახალხო კომისარიატში.** სასურსათო სახალხო კომისარიატის მოსამსახურეთა კრებამ აპრილს 2-ს მიმდინარე მომენტზე ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების მოსმენის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მივესალმებით საბჭოთა ხელისუფლების გამოქვეყნებას. საერთო კრება აღიარებს რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთად ერთი ხელისუფლებაა, რომელიც ანხორციელებს წმინდა მუშურ პოლიტიკას და რომელიც ანთავისუფლებს საქართველოს მშრომელ კლასს. ერთად ერთ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია გადასჭრას ეროვნული პრობლემა და საბოლოდ დასძლიოს ნაციონალური უთანხმოება. მიგვაჩნია, რა რომ სასურსათო სახალხო კომისარიატი არის უმთავრესი და ძირითადი წევრი საბჭოთა საქართველოსი, მოსამსახურენი ყოველ ღონის ძიებას მიიღებენ რომ მუშაობა იყვეს ნაყოფიერი და არც ერთი მუშის არც ერთი საათი უნაყოფოთ არ ჩატარდეს მომუშავეების საბჭოს დარსებაზე მოხსენების შესახებ საერთო კრებამ დაადგინა რომ როლი და ამოცანები პროფკავშირების გადატრიალების შემდეგ განსხვავდება პროფკავშირები. გადატრიალების შემდეგ განსხვავდება პროფკავშირების როლისა და ამოცანებისაგან, გადატრიალებამდის რომ იყო. თუ წინათ კავშირს უნდა ეწარმოებინა კლასიური ბრძოლა ბურჟუაზიასთან. ეხლა კავშირები მიზნათ ისახავენ მუშათა-გლეხთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებას და პირდაპირი მონაწილეობის წარმოებაში და წარმოების მართვა-გამგეობაში. აღნიშნული იქმნა რომ საჭიროა საბჭოთა, საზოგადოებრივ და სავაჭრო დაწესებულებების ყველა მოსამსახურეთა ერთ კავშირში გაერთიანება.

— **სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალში.** სა ხ. რევტრიბუნალის 2 აპრილის სხდომაზე გაირჩა შემდეგი საქმეები:

1 კომუნისტების ბრიგადის მე-6 რაზმის უმწყობრო გუნდის წითელ ლაშქრელის ჰასან აბას-ალი ოღლისა, რომელსაც ბრალდება სახაზინო ფარაჯის გაყიდვა. ტრიბუნალმა დაადგინა: ჰასან აბას ალი ოღლი გაიგზავნოს საზოგადო იძულებით სამუშაოზე, პეტროვსკის ნავთსადგურის ციხეში ორი წლით დატუსაღებით.

2) 2 ლაშქრის საკავშირო ათასეულის პოლიტიკურ ხელმძღვანელის ტისოვონი რომელსაც ბრალდებოდა სამი ზეწრის მოპარვაში და გაყიდვაში მონაწილეობის მიღება ტრიბუნალმა გაამართლა.

3) მე-20 მსროლელთა დივიზიის 174 მსროლელთა რაზმის წითელ ლაშქრელის აბდულ ალიევის, რომელსაც ბრალდება უმრის თქმა წერა-კითხვის შესასწავლ სკოლაში სიარულზე და წითელ ლაშქრის შესახებ ყალბი ხმების გავრცელებაში. ტრიბუნალმა [illegible] მხედველობაში [illegible] მოუფიქრებლობა [illegible] ხმების. მისი კლასიური კუთვნილება და მისი თავის ნებით სამსახური წითელი ლაშქრის რიგებში. დაადგინა გაიგზავნოს იგი იძულებით საზოგადო სამუშაოზე პეტროვსკის ნავთსადგურის ციხეში ერთი წლით დაპატიმრებით.

— **სომხეთის მისია.** ტფილისიდან ერივანში წავიდა სომხეთის ს. ს. რ. საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ამხ. გრბვიანი.

ახლო მომავალში მოსალოდნელია მტკიცე კავშირის დამყარება. ერევნის რევკომთან.

— **სახალხო ჯანმრთელობის კომისარის ჩამოსვლა.** 3 აპრილს თბილისში ჩამოვიდა საქართველოს ს. ს. რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისარი ექიმი კუჭაიძე. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ის იყო [illegible] გუბერნ. რევკომის თავმჯდომარე, განაგებდა იქვე ჯანმრთელობის განყოფილებას, შემდეგ რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისრათ, იყო დანიშნული რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის შრომის ლაშქრის სამხედრო საბჭოში, რის შემდეგაც იყო დანიშნული ჯანმრთელობის განყოფილების მომწყობათ და კავკასიის მადნეულ წყლების დირექტორათ, უკანასკნელ დროს კი იყო რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო ჯანმრთელობის კომისრის წმუნებულათ ჩრდილო კავკასის საგარეო სამართველოში, და აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულათ აზერბაიჯანში სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის და ჯანმრთელობის განყოფილების მოსაწყობათ.

— **კოტე შათირიშვილის გარდაცვალება.** სახელმწიფო დრამის დირექცია იწვევს კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს სახალხო განათლების კომისარიატის, რევკომის, სახელოვნო ცენტრის რაბისის, სახალხო სახლის წარმართ. წრის სახალხო აუდიტორიების ქალაქის რევკომის, საოპერო თეატრის, დრამის თეატრის და სხვა. აპრილის 7-ს დილის 10-ს საათზე სახელმწიფო დრამის თეატრის შენობაში დაკრძალვის და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გამოსარკვევად.

— **დახმარება ხელოვანთ.** საბჭოთა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის განკარგულებით ერთდროული დახმარება მიეცა ღირსეულ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეთ: კონსტანტინე ყიფიანს, მარიამ საფაროვა-აბაშიძისას, მოსე ჯანაშვილს, და ანასტასია თუმანიშვილისა წერეთლისა თვითოეულს ასი ათასი მანეთი.

— **უმუშევარნი ტრამვაილები.** უმუშევარი ტრამვაილებმა ამხ. შ. ნუცუბიძესთან ერთად ინახულეს ქალაქის რევკომი თუ უმუშავარ ტრამვაელების უკან დაბრუნებისათვის. ქალაქის რევკომმა აღუთქვა უმუშევართ პროფესიონალურ კავშირთან ერთად საკითხის სასურველად გადაჭრა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ წერილში—პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს საყურადღებოდ დაბეჭდილია: ლიკვიდაცია არის კანონიერი; უნდა იყოს ლიკვიდაცია არ არის კანონიერი და ყურადღება უნდა მიექცეს სასურსათო კომისარიატის უნდა იყოს შრომის კომისარიატის.

## სოც.-ფედერ. პარტიაში

დღეს, 7 აპრილს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია დრ. მთავარ კომიტეტის და პარტიულ საპროფესიო კავშირების წარმომადგენლების სასწრაფო სხდომა „სოციალისტ-ფედერალისტი"-ს რედაქციაში.

## რადიო

### მონარხისტები არ ცხრებიან

ნაუენი. 3—4. ყოფილი მეფე კარლოსი უარს ამბობს უნგრეთიდან წასვლაზე და ამბობს, რომ წავა იმ შემთხვევაში, თუ მას აიძულებს ანტანტის ჯარი. კარლოსი აცხადებს, რომ ის იქნება დემოკრატიული მეფე და მოისპობს დევნას.

### ცარცვა გრძელდება

რიგა. 2—4. ინგლისი აპრილის 1-დან აწესებს 50 პროცენტიან გადასახადს გერმანიიდან შეტანილ საქონელზე.

### თხმალეთი და საბჭოთა რუსეთი

ტრაპიზონი, 1—4. (რადიო). აღმოსავლეთ ფრონტის სარდალი ქიაზიმ-კარაბექირი თავის ბრძანებაში ჯარისადმი აცხადებს: ოსმალეთის ხალხმა მტკიცედ გადასწყვიტა განაგრძოს ბრძოლა ბოლომდის. ხალხის მტრები ცდილობენ ჩვენ და ბოლშევიკების

# მწუხრნი შაბათის

I.

ჩემთა საყვარელ ძმათა გვამებზე
ჰოტენტოტივით დავეხეტები...
აღარც მთვარეა, არც ბრწყინვალე მზე,
მხოლოდ ყვიან ბუ და ჭოტები.
ჩემს გარეშემო ბნელად დამყარდა
მეუფებანი ჯოჯოხეთისა:
ყველაფერს ვხედავ აქ შვების გარდა
და ტყვე ვარ ტანჯვის მეტის-მეტისა,
ჯოჯოხეთში ვარ და ჩემს გარშემო
მეფეა ტანჯვა, მეფეა კვნესა.
ახ ყმაწვილობავ! ახ დედაჩემო!
როს ყრმა ვიყავი, ნეტა იმ დღესა!
„შენ—ყვის ჰინკა—„შენ აქ რა გინდა
შორის ცოდვილთა და სულით ბნელთა?
შენი სიცოცხლეც ცოდვამ დაჰბინდა?—
მაშ იყავ ეხლა წამების ხელთა!
შენ წითელი ხარ ძმების სისხლითა!
ო კაინ! კაინ! ბოროტო ცამდე!
სისხლს ვერ გაიბან ვერც ერთის წყლითა
უკუნითიდან უკუნისამდე!

II.

იუდა, კაინ და ჰეროს ფრატე
დედაჩემს ჩემთან გამოუზრდია
და ჩემი გრძნობა ისეა მჩატე,
რო სუმბუქ ნისლად ჰაერში გდია.
რად არ მითხარი დედავ, რომ შენი
ძუძუთი ჩემსავ გამყიდველს ზრდიდი?!
ცოდვები გაწევს შენ ზღვაოდენი!
დამნაშავე ხარ შენ დიდი... დიდი!..

III.

ტვინგამომპალი, ჰკვაგამოხრული
მპატრონობს კაცი, მიქნევს მათრახსა
და მეც, სხვა რა ვქნა, ვით მონა სრული,
ვისმენ მის სიტყვას, მუქარას მკვახსა.
აი წამებაც ამასა ჰქვიან!
აი სასჯელიც ასეთი უნდა!
დახე რა მერქვა! დახე რა მქვიან!
დახე სოფელი საით მიბრუნდა!

IV.

სამშობლოს ცაზე გაჩნდა ვარსკვლავი...
როგორ კაშკაშა! როგორ ჰიოტა!
ძმის სისხლს მაგონებს იმისი ფერი
იმ დღეს რო მკერდით გადმოსდიოდა.
ომ მოგონებავ! გული რომ გქონდეს,
შიგ ჩაგასობდი მახვილსა ჩემსა!
დე, შენი სისხლიც ეცხოს იმ ვარსკვლავს,
დღეს რომ დამყურებს ჩემს ერს და თემსა.

V.

რისთვის გაჩერდა სამშობლო ცაზე
ვარსკვლავი რადაც, უცნაურ სახის?
ვის მოუძღოდა იგი ამ გზაზე,
ან ჩემს მხარეში ვის რად უძახის?
ჰო ვიცი, ვიცი: აქ დაიბადა
ამ ქვეყნიური მცნების მისსია,
რის მომავალიც—არ ვიცი რადა—
და ის კი ვიცი, რომ იმისია.
მაშინ ვაი თქვენ, რო ხტით კვიცებად.
ტვინ მოღრეცილნო, მკრეხელნო ცისა!
თქვენ ტვინი უფრო მოგედრიცებათ
და კვლავ შემყურე იქნებით სხვისა.

VI.

აქამდე რისთვის დაიგვიანეს
ჩვენმა ბიჭებმა, ლომებს რო ჰგვანან?
ნუ თუ სუყველა ტყვედ წაიყვანეს?
ნუ თუ სუყველა საფლავში წვანან?
არა! კვლავ მოვლენ მღერის ყიჟინით,
გაგვაღვიძებენ მწუხრში მძინარეთ
და, მოქანცულნი ხანგრძლივის ბინით,
თვალ[illegible]ნებიც გამოვლენ გარეთ.
მოვლენ ბრწყინვალედ, ვით მაცხოვარი,
მოვლენ სულ წითლად, ვით სხივთა ძნები,
ისე კი არა, ვით მათხოვარი
ისე, ვით ჩვენი ნამდვილი ძმები·
რუსთაველის ყური მიყრუებული
გაიგებს კახურს, გაიგებს მეგრულს
და საქართველოს უმანკო გული
შესძლევნის მათ გვირგვინს გრძნობებით შეკრულს.

ი. მჭედლიშვილი.

1921 წ. გაზაფხული

ირიცხებოდა მამადიანი სულ 7.331 სული სომეხი კი 4,134 სული რომლიდანაც სპარსეთიდან და ოსმალეთიდან გადმოსახლებული იყო 1763 სული, ხოლო მკვიდრი კი მხოლოდ 2.369 სული, გახლდათ, ე. ი. 1830 წლისათვის ქალაქ ერევანში თათრობა სამჯერ მეტი იყო რიცხვით ვიდრე სომხობა. ერევნის გუბერნიის სოფლებში ხომ განსხვავება უფრო თვალსაჩინო და საზარალო იყო სომხობისათვის. დღეს კი, 1916 წლისათვის, როგორც ერევნის გუბერნიაში, ისე ქალაქ ერევანში სომხობა სჭარბობს თათრობას.

ჩვენ ამ საკითხს უფრო ვრცლად იმიტომ ვერ შევეხებით, რომ შესწავლის მიზნად სხვა საკითხი გვაქვს დასახული. რაც ვსთქვით აუცილებლად საჭირო იყო, რომ წარმოგვედგინა პირველი დებულება: მეცხრამეტე საუკუნეში და მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც საქართველოს მთავრობა, ისე რუსეთის მთავრობა ხელოვნურად ქმნიდნენ ამიერ-კავკასიაში მესამე სახელმწიფოს, სომხის ხალხის სამეფოს. მეოცე საუკუნისათვის მუშაობის ნაყოფი თვალსაჩინო იყო, სომხობა ერევნის და ყარსის მაზრებში სჭარბი, მაგრამ მაინც უმრავლესობა შეიქმნა და როცა თანამედროვე რევოლიუციამ რუსეთი დაანაწილა, შემაერთებელი ძაფები დაარღვია და წინ წამოაყენა პრინციპი ერების თვითგამორკვევისა, სომხის ერიც იძულებული შეიქმნა თავის მასისათვის ფორმა მიეცა, ტერიტორიას და ხალხს გაეჩინა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და ამ მეორე მუშაობის დაწყებისას ის უკვე ვეღარ პოულობს საქართველოში იმ დამხმარე ძალას, რომელიც სომხებს მუდამ ყავდათ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში.

თედო ღლონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაჩხუბებას. ისინი აქეზებდნენ ჩვენ ხალხს ბოლშევიკების წინააღმდეგ. მათ მოიწვიეს კონფერენცია ლონდონში იმ მიზნით, რომ ჩავებით ჩვენ ომში საბჭოთა რუსეთთან. ჩვენ უარვყავით ლონდონის კონფერენცია და ხელი მოვაწერეთ მოსკოვის ხელშეკრულებას. დასახულ მიზნებში ჩვენ და საბჭოთა ხელისუფალნი მეგობრები ვართ. ხმები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა რუსეთი სდევნის მუსულმანებს, არის ჩვენი მტრების მიერ გავრცელებული პროვოკაცია.

ანგორის გამარჯვება

ტრაპიზონი. 1—4. ბერძნების ლაშქარი დამარცხებული გარბის.

ბათომი. 1-4. (დეპეშა) 28-3. სტამბოლში და შემდეგ იტალიის პორტებში ხელისუფალთა ნებართვით გამგზავრა გემი „საქართველო", დატვირთული ხე-ტყით და ნავთით. გემი გამგზავრებით იწყება საქონლის გაცვლა-გამოცვლა იტალიასა და საბჭოთა საქართველოს შორის.

ისპანიაში

პარიზი. 26-3. პარიზის გაზ. „ჟურნალი" იუწყება: მადრიდიდან მოსულ ცნობების თანახმად ისპანიაში ეკონომიური კრიზისი მწვავე ხასიათს ღებულობს. მთავრობამ გადაწყვიტა მოაწყოს საზოგადო სამუშევრები უმუშევართა დასამშვიდებლად. მწარმოებელმა კატალონიაში დაკეტეს 200 ქარხანა, რის გამოც უმუშევრად დარჩა 20,000 მუშა, სხვა და სხვა სამთო სამრეწველო რაიონებში და შრომის ხელფასი შემცირეს 20-პროც. ბილბაოს პროვინციაში. უმუშევრად დარჩა მეტალურგიულთა 6,000 მუშა.

მღელვარება ოპორტოში.

ბერლინი. 24 მარტი. პრესა იუწყება, რომ ოპორტოში იფეთქა რევოლიუციონურ სინდიკალისტურმა მოძრაობამ ... ისროლეს თოხი ყუმბარა, მათ რიცხვში ორი ყუმბარა ესროლეს სასამართლოს შენობას და ერთი ესპანეთის მისიის შენობას.

მორიგი პროვოკაცია.

მოსკოვი. 26 მარტი. საგარეო საქმეთა კომისარიატი შემდეგს აცხადებს:

მას შემდეგ, რაც ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი სთვლის სიმართლედ ინგლისის პრესაში გავრცელებულ პროვოკაციულ ცნობებს პეტროგრადსა და მოსკოვში აჯანყებათა შესახებ, ვითომ ლენინი და ტროცკი ყირიმში გაიქცნენ და ვითომ თეთრი ბაირაღი ფრიალებს კრემლზე,—ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს სიცრუის ოფიციალური კამპანია კიდევ შორს წავიდა და რვა მარტს მან გამოუშვა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, ვითომ მთელი პეტროგრადი, პეტრო-პავლოს ციხის გარდა აჯანყებულების ხელშია ... დიდი ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია არ იცოდეს, რომ პეტროგრადში სუფევს ერთობ მტკიცე განწყობილება და გადაწყვეტილება ყოველივე ძალღონით წარმოებულ იქმნას ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის თეთრი გვარდიელთა და მის მომხრე ანტანტის წინააღმდეგ. გაუგონარი გამოსვლა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგონარ გამოსვლას უეჭველია მიზნათ აქვს, რომ ინგლისისა და რუსეთს შორის შემდეგ მოლაპარაკების გაგრძელებას ზიანი მიაყენოს. და ამავე დროს გავლენა მოახდინოს ოსმალეთის დელეგაციასა და ეხლახან მთავრობაში ჩამდგარ ამერიკის პრეზიდენტზე.

რუსეთის მთავრობამ მიმართა ოსმალეთის მთავრობას, რომ მან მის წინაშე გამოამჟღავნოს ინგლისის მთავრობის ქამანდი რომელსაც მიზნათ აქვს დიდი ზიანი მიაყენოს რუსეთის და ოსმალეთის ხალხებს. ამასთანავე ერთად ცნობა ეგზავნება ამერიკაში იმისთვის, რომ იგი გაეცნოს საქმის ნამდვილ გარემოებას და მიუთითოს მას სინამდვილისაგან ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალური გამოსვლების სიმართლისაგან სოოცრად დაშორებაზე.

დასასვენებელი სახლები.

მოსკოვი. 1 აპრილი „სოვეტსკი იუგი" სწერს: საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო აღმშენებლობაზე გადასვლა პროფესიონალურ ორგანიზაციების წინაშე, სვამს ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, იზრუნოს მშრომელთა ძალღონის აღსადგენათ და დასაცავად. უმთავრეს საქმეთ ამ დარგში ითვლება დასასვენებელ სახლების ორგანიზაცია, რომლებმაც შვებულებაში წასულ მუშებს უნდა შეუქმნას ისეთი პირობები. რომ აღუდგინოს ძალღონე და ჯანმრთელობა ეს გადაუდებელ მუშების ჯანმრთელობის დაცვის საკითხი ვალდებულად ხდის ყველა საგუბერნიო და სამაზრო პროფკავშირების საბჭოებს და სამაზრო მიწ. რიგებს დაუყონებლივ შეუდგნენ დასასვენებელ სახლების ორგანიზაციას. ამ სახლების საჭიროებისათვის უნდა გამოყენებულ იქმნას ყველა ქალაქ განაპირა და სააგარაკო ადგილები და შენობები, რათა მუშები სურსათით უზრუნველყოფილი იქმნენ დასასვენებელი სახლები დაკავშირებულნი უნდა იქმნას საბჭოთა მეურნეობასთან.

თევზის მრეწველობის ორგანიზაცია.

როსტოვი. 1—4. კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს და სამხრეთ აღმოსავლეთ რუსეთის შრომის ლაშქრის რევოლიუციონურ საბჭოს მიერ გამოიცა ბრძანება, რათა აღრიცხული და გაწვეულ იქმნეს ის მცხოვრებნი, რომელიც მუდმივად და პერიოდულად მუშაობდენ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში და თევზის წარმოების დაწესებულებებში და სცხოვრობდნენ შემდეგ ოლქებში, დონის, ყუბანზღვის ზღვისა, თერგისა და სტავროპოლის გუბერნიისა. რათა კასპის კავკასიის თევზის მრეწველობა უზრუნველყოფილ მუშა ხელით.

ჩრდილო კავკასიაში.

როსტოვი, რკინის გზის მუშაობა უკანასკნელ დროს შესამჩნევათ კარგათ მიმდინარეობს. ნავთის მარშრუტებისა და ქვა მარშრუტების გადატანა თითქმის ნორმამდის აღწევს. გაზშირდა ცარიელი ცისტერნების დაბრუნება სხვა ადგილებიდან. მოსპობილ იქმნა წყლის სახომ მ...ების დიდი საჭიროება. ქრება აგრეთვე მურლების კრიზისი.

რუსეთის აღდგენა.

მოსკოვი. გზების შესასწორებელი და ხელოვნურ მოწყობილებათა შეკეთების საწარმოვო პროგრამას გათვალისწინებული აქვს აშენოს ლითონის შენობები ორი ათას საჟენის სიგრძეზე და ხის შენ...ბანი ათას შვიდას საჟენი სიგრძეზე. მალე ჩქარი შეკეთება მოხდება ხიდების, წყლის ნაპირის სიმაგრეთა და სხვა ეს საწარმოვო პროგრამა უნდა შესრულებულ იქნას მახლობელ თვეებში.

მონარქიულ გადატრიალების ცდა უნგრეთში.

ნაუენი, 3—4. ოფიცრები და მცხოვრებთა ნაწილი კარლოსის მხარეზეა, რომელმაც განაცხადა, რომ ის იქნება დემოკრატიული მეფე და დევნას ბოლოს მოუღებს, ყოფილი მეფე კარლოსი უარს ამბობს უნგრეთის დატოვებაზე და განაცხადა რომ იგი იმ შემთხვევაში წავა მხოლოდ, თუ მას მოკავშირეთა ძალების ჯარები აიძულებენ. ჯარის კაცები ამ ავანტიურას გულცივად უცქერიან. ამ ჟამად იხილავენ კარლოსის მოკავშირეთა ძალების გაძევების საკითხს.

ბოლშევიზმის შიში.

მოსკოვი. 5 აპრილი ლონდონიდან იტყობინებიან: ინდოეთის საკანონმდებლო კრებაზე ბიუჯეტის განხილვის დროს, ინდოეთის ჯარების მთავარ სარდალმა განაცხადა. რომ მან, როგორც ადამიანმა რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ ოპერაციებს აწარმოებს, კარგათ უწყის ბოლშევიკური საფრ...ხე (გამოშვებულია) ამიტომ ინდოეთმა უნდა იყოლიოს ძლიერი და მებრძოლი ლაშქარი, საჭიროა მთავრობის ჯარები, რათა დაცულ იქმნეს მშვიდობიანობა ქვეყნის შიგნით საომარი ხარჯების არავითარი შემცირება არ შეიძლება მანამდის, სანამ აგიტატორები არ დაიშლიან ერთგულ და სხვა მასსების მოტყუებას.

ფინეთის სოციალისტების გამარჯვება.

რევალი. აპრილის 4. (დამახინჯებულია) ტალმანად აირჩიეს სოციალ-დემოკრატი. ფინეთის ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ სოციალისტის ტალმანად არჩევა სულ ფინეთის ბურჟუაზიულ პარტიების ბრალია, რომელთაც ყური არ უგდეს შვედურ პარტიის განცხადებას, რომ იგი მისცემს ხმას მხოლოდ იმ კანდიდატს, რომელმაც შვედური ენა იცის. ამან აიძულა შვედები თავის ხმები მიეცათ შვედური ენის მცოდნე სოციალისტისთვის.

რუსეთის მისია იტალიაში.

რომი. 1—4. (რადიო) მის შემდეგ, რაც იტალიის თეთრ გვარდიელებმა განიზრახეს თავს დასხმოდნენ რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. ვოროვსკის, უკანასკნელმა მკაცრი ნოტით მოითხოვა დამნაშავეთა სამართალში მიცემა და მოითხოვა აგრეთვე, რათა ნება დართოს მისსიის ყველა წევრებს იარაღის ტარებისა. ამასთანავე ვოროვსკიმ მოითხოვა, რომ მისსიას გადაეცეს წინანდელ რუსეთის საელჩოს სახლი. ყველაფერს ამას იტალიის მთავრობა დაპირდა, მაგრამ ჯერჯერობით გასცა მხოლოდ ბილეთები რევოლვერის ტარებაზე. დანარჩენი ჯერ კიდევ არაა ასრულებული.

ქიაზიმ კარა ბექირის დეპეშა.

ტრაპეზონი. 1-4 აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა ქიაზიმ-კარა-ბექირმა დაგზავნა დეპეშა ყველა ჯარის ნაწილებს და მთავრობის დაწესებულებებს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნა ოსმალეთის ხალხის გადაწყვეტილება იბრძოლოს ბოლომდი. კარა-ბექირი სწერს: „ჩვენი მიზნისკენ მიმავალ გზაზე ჩვენ დაუმეგობრდით რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენმა მტრებმა რათა ჩვენ წავეკიდნეთ ბოლშევიკებს, მიმართეს ინტრიგებს, ისინი ჩვენ ხალხს ბოლშევიკების წინააღმდეგ აქეზებდნენ, რომ ამით ჩვენი სიფხიზლე მიეძინო, იმათ ლონდონში კონფერენცია მოიწვიეს, რომელიც უშედეგო გამოდგა. ანტანტას უნდა ჩავეთრიეთ ჩვენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში, ამიტომ ჩვენ უარი ვყავით ეს კონფერენცია და წინააღმდეგ იმისა ხელი მოვაწერეთ მოსკოვთან ხელშეკრულებაზე. ჩვენი მიზანია შინაგანი მოწყობა, რომელშიაც ჩვენი მტრები ხელს გვიშლიან ხმები, იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა რუსეთი მუსულმანებს სდევნიდეს ჩვენი მტრების პროვოკაციაა: ჩვენი მთავრობა, რომელიც ბრძოლით იცავს ისლამის ხალხებს, ამის შემდეგ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს მათ. ჩვენ უნდა ანგარიში გაუწიოთ ჩვენი მტრების პროპაგანდას და მედგრად შევებრძოლოთ, რათა ჩვენ მიზნებს მივაღწიოთ.

მდგომარეობა კონსტანტინეპოლში.

ტრაპიზონი. 1 4. „იდბალი" სწერს კონსტანტინოპოლში ხელახლად ისე მოქმედებენ, თითქო კომედიას ადგენენ. ფადი-შაჰი ცალ-ცალკე იღებს უცხოეთის ელჩებს. დემატფერიდი მძიმე ავათ. ინგლისის მიერ დაქირავებულ აგენტებს გავლენით ადგენენ რაღაცა ახალ პარტიას. კონსტანტინეპოლი ხელ ახლა გასრიალდა ძველი გზით.

ანგორის ოფიციალური განცხადება

ტრაპიზონი. 1-4 დღეს, ბერძნების შემოტევის დღეს ჩვენმა გმირმა ჯარებმა იონიოთ უკუ აქცია მტრის ჯარი. მტერმა დაგვიტოვა მრავალი ტყვე აურიცხველი სურსათი და იარაღი. გაქცეულ მტერს ჩვენი ჯარები კვალ და კვალ მისდევენ: ჩვენი ცხენოსანი ჯარი ფრთებზე აწვება მტერს.

მართალია.

მოსკოვი. 4 აპრილს ბერლინიდან მიღებულ ცნობით კომუნისტური მოძრაობა შუა გერმანიაში ვითომ მთლათაა დათრგუნვილი.

კომუნისტების დატუსაღება იტალიაში.

რიგა 1 აპრილს გერმანიიდან იუწყებიან, რომ გენუაში 1 ნახევარი ათასი კომუნისტი დაატუსაღეს.

რომი, 5-4. პარიზელმა გაზ. „ტან"-მა მიიღო ბუდაპეშტიდან ცნობა, რომ კარლოსმა მიატოვა ჩომბატელი და შვეიცარიისკენ გაიმართა.

ლიონი, 5 4. საფრანგეთისა, დიდი-ბრიტანიისა და იტალიის წარმომადგენლებმა კვირას გადასცეს გრაფ ტელეკის ელჩების კონფერენციის პროტესტი რომელიმე გასბურგის რესტავრაციის წინააღმდეგ ბეჯითი მოთხოვნილებით, რომ ექს-იმპერატორი დაეჩქაროს თავისი წასვლა უნგრეთიდან.

კრუპის კონცეხია.

მოსკოვი. 4-4, კრუპის ცნობილმა გერმანელმა ფირმამ სამხრეთ ამერიკის ჩილის რესპუბლიკაში მიიღო კონცესია სამეტალურგიო წარმოებათა მოწყობისთვის. ფრანგული გაზეთები მეტად უკმაყოფილონი არიან ამ კონცესიის; ისინი შიშობენ, რომ გერმანია მოახერხებს ჩილის რესპუბლიკაში თავისთვის იარაღის დამზადებასო.

# ნაძალადევის მუშათა კლუბში.

მარტის 5, ნაძალადევის მუშათა კლუბში მოწვეულ იქმნა საჯარო კრება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ინიციატივით. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი. მოხსენება მომენტზე გააკეთეს ამხ. შალვა ნუცუბიძემ და ვახტანგ კოტეტიშვილმა.

ორივე მომხსენებლის სიტყვაში ზოლივით იყო გატარებული ორი მისწრაფება, რომელიც ასულდგმულებს სოციალისტ-ფედ. პარტიას: ეროვნული და სოციალისტური; მშენებლობა სოციალისტურ ნიადაგზე ეროვნული შენობისა; ბატონობა მშრომელთა და ბატონობა თავის ქვეყანაში ქართველ მშრომელთა საბჭოთა სახელმწიფოს შენების დროსო.

ორატორების დამსწრე საზოგადოება უმართავდა ოვაციებს ხშირ-ხშირად და გრძნობდა, რომ მენშევიკების დამარცხებით ქართველი ხალხი არ დამარცხებულა და თავის თავის პატრონობას ახალი და უფრო სადი გზით იგი აპირებს.

ერთ ერთმა მომხსენებელმა სთქვა: საქართველომ იცის გიორგი სააკაძეები, რომელნიც უცხო ძალებით ჩვენს ქვეყანაში შემოდიოდენ, მაგრამ ისტორიამ ისინი გაამართლა, რადგან მათ თავისი შემოსვლა გაამართლეს თავისივე შემდეგი მოქმედებით, დეე იყოს ისე, რომ ამხ. კომუნისტებს თავიანთი პოლიტიკით გაუმეორებიოთ სააკაძეები საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობისა და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცების დროს. ტაში და ოვაციები აგვირგვინებს ამ სიტყვებს.

გამოვიდა ამხ. კომუნისტი მაღარაძე, რომელიც არსებითად არ შეკამათებია მომხსენებლებს. სიტყვა აიღო სოციალ-დემოკრატმა (დამოუკიდებელმა) თალაკვაძემ, რომლის შინაარსი იყო წყალწყალებულის აზრი, ხავს რომ ეკიდება და ამიტომ ადვილი იყო მისი დებულებების დარღვევა.

კრება გათავდა საერთო მგრგვინავი ხმით—გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას გაუმარჯოს მშრომელთ, სუფევას.

გ. ხ-ლი.

# ტრამვაის სამეფოში

ქალაქის რევკომის ხაყურადღებოთ.

ტრამვაი წარმოების ერთი უდიდესი დარგთაგანია ტფილისში, ამავე დროს ძველის ძველი წარმოება. ამ დარგში არიან პროფესიონალი ტრამვაელი მუშები, რომელთაც მთელი სიცოცხლე შეუწირავს ტფილისის ტრამვაისათვის.

ყველას მოეხსენება, რომ დიდი ნაწილი მუშებისა გაწვეული იქმნა ფრონტებზე. ეხლა ფრონტი მოხსნილია დასაქართველოს რევკომის აზრიან განკარგულებად უნდა ჩავთვალოთ, რომ ომის ფრონტიდან დაბრუნებულებს მისცემოდა წინანდელი ადგილები.

აქა-იქ—ჩვენ ცნობები გვაქვს—საქ. რევკომის განკარგულება ასრულებულ იქმნა, მაგრამ ტფილისის ტრამვაის დარგში ამ ბრძანების ასრულებას არავინ ფიქრობს. წარმოებაში მიღებულია ახალი ძალები და ძველის ძველი მუშები კი დღეს ქუჩაში ყრიან, არ ღებულობენ პურს და მეტად უბერხულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი.

საკვირველია ისიც, რომ ტრამვაიში არის ადგილი, ადგილის მუშა დაბრუნებულია, მაგრამ სამუშაოდ მაინც არ იკარებენ. ჩვენ არ ვიცით რაშია საქმე და ვინ მუშაობს ამ გვარად.

ჯერ სამუშაოს გარედ დატოვებულია 55 მუშა, ამათში ერთია რუსი, დანარჩენი ქართველები. ქუჩაში დარჩენილი მუშები კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ტრამვაის ახლად მიღებულ მუშებს შორის არიან სრულიად არა საიმედო პირები.

ყოველ შემთხვევაში ქუჩაში დარჩენილ მუშების ხვედრს ბოლო უნდა მოეღოს და ქალაქის რევკომმა პასუხი მოსთხოვოს როგორც ტრამვაის პროფესიონალურ კავშირს ისე დირექციას, რომ რაა მიზეზი დღემდე ამ საკითხის ასე დატოვებისა.

ტრამვაელი.

# პურის ბარათები

1. საქართველოს ყველა იმ ქალაქებში, სადაც ადგილი აქვს სურსათის მწვავე კრიზისს, შემოღებულ იქმნას საბარათო სისტემა პურისა და სხვა პირველ საჭიროების საგნების თანასწორი და სამართლიან განაწილებისად.

2. ჯერჯერობით პურის ბარათები შემოღებულ იქმნას ქ. ტფილისში.

3. რათა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მწყობრად და ერთ გეგმაზე გატარებულ იქმნეს საბარათო სისტემა, სახალხო სასურსათო კომისარიატთან დაარსებულია ცენტრალური საბარათო ქვე-განყოფილება, რომელიც ამზადებს ბარათებს, ინსტრუქციებს და ყველა საჭირო ბლანკებს რესპუბლიკის ქალაქებისათვის.

სახალხო სასურსათო კომისარის მოგიერ ა. ერქომაიშვილი.

განმანაწილებელ განყოფილების გამგე ხტურია.

ცენტრალურ საბარათო სისტემის ქვე განყოფილების გამგე ა. რუხაძე.

# ამხ. „ონეს"

მიკვირს და მიკვირვებს ამხ. „ონეს" პირველი და მეორე წერილები. დარწმუნებული ვარ, რომ ამხ. „ონე" ინანებს შემდეგში, მაგრამ გვიანღა იქნება, ამიტომ ვურჩევ, იმ პირადულ ინტერესებს, რომელიც ისე მკაფიოდ გამოსჭვივის პირველ წერილში, თავი დაანებოს და ტყვილა უბრალოდ ნუ აწუხებს მკითხველებს და სტამბის მუშებს, სირცხვილი არის, რომ ადამიანი პირადულმა ინტერესებმა გაიტაცონ და მისდა შეუგნებლად მთელ მოწაფეთა ქეთ ლაქლაქობა დაიწყოს.

დასასრულს მეც ვიტყვი, ამხ. „ონე", თქვენივე მეორე წერილის ბოლო სიტყვებით: ვინც მხოლოდ თავის გამოსაჩენად ჰქექავს უაზრო სტატიებს (როგორც თქვენ), არის დემაგოგი და ამასთან ერთად იწოდება მოწაფეთ და ანბანი კი არ იცის, თავს თეთრისაგან ვერ არჩევს, სამარცხვინო ჯვარზეა გასაკრავი, გასაკიცხია, დემაგოგობის ღირსი არ არის.

ხედავთ ამხ. ონე თქვენივე სიტყვებმა ღირსეულად შეგამკესთ.

მართალი არის—„რომ ადამიანს თავისივე ენა გასცემს-ო".

დუდუ. ნ—ო.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი დრ. ცენტრალური კომიტეტისა.


**განცხადება** პასპორტი ოლღა თუნიაშვილზე მესამე კომისარიატიდან მოცემული გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ. 742

**დაკარგე** აპრილის 5 ს, დილით პასპორტი ბაქოს სოციალურ უზრუნველყოფის კომიტეტისაგან შეწოწმებული და მოწმობა პროფესიონალურ კავშირების საბჭოდ რამზანის ძე მერმონტის სახელობაზე. 741

**დაიკარგა** პასპორტი კავიზმანის სასამართლოდან მოცემული № 1., 345 მეგომეტ საგიდ-ოღლი ქაპლანოვის სახელზე. 743

**დაკარგე** წიგნაკები კოოპერატივებისა „მეურნისა" № 140 და „ტფილისის კოოპერატივისა" № .0491, გძელიშვილი სახელზე რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 749

**დაკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ... ცემული პირადობის მოწმობა ნ კოლოზ ლუკას ძე ცერცვამის სახელზე, ჩასთვალეთ გაუქმებულად. 74..

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად ხირურგია (914 წ 606...) საქესოზრივი უძლურება, ვენერიული, ტრიპერი და შეუდება.

ახალი მებუთოვის ქ. ცეცხლი... მჭრობელ რაზმის ახლო. 73..